დანართი №3

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელენე კაკაბაძე

წევრები:

ვალერი ჯაჯანიძე

მანანა მოისწრაფიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406290954

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

■ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 03 ივნისის MES 1 24 0000609636 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში ვიზიტის შესახებ, შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (ჯგუფის თავმჯდომარე - ელენე კაკაბაძე, ჯგუფის წევრები: ვალერი ჯაჯანიძე და მანანა მოისწრაფიშვილი) მიერ 2024 წლის 19, 20 და 21 ივნისს შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში (მის. ქ.თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ.N 14 ა) ავტორიზაციის მიზნით, განხორციელდა ვიზიტი და შეფასდა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, დათვალიერდა მატერიალური რესურსები და პრაქტიკის ობიექტი. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ.თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.N14ა

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	~■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება \ ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

3.1.1.3. აუცილებელია წარმოდგენილ დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“ გაიწეროს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაჩივრებისა და აპელაციის საკითხებს.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ხარვეზი, კერძოდ, პროგრამის დანართში N 6 „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ გაწერს შესაბამის მექანიზმს, რომელიც დაარეგულირებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაჩივრებისა და აპელაციის საკითხებს. დოკუმენტის განხორციელების ვადად მითითებული არის 7 აგვისტო. განახლებული დოკუმენტი ატვირთული იქნება აკადემიის ვებ-გვერდზე და მოხდება ინფორმაციის დეტალურად მიწოდება დაწესებულების პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის. მტკიცებულების სახით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი პროცესი.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.1.1.3. გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განხორციელდეს დოკუმენტის გაწერა, რომელიც დაარეგულირებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაჩივრებისა და აპელაციის საკითხებს.

5.2.2.2. დაწესებულების მართვაში არ გამოიყენება საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნა „პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის“ არ არის დაკმაყოფილებული.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ხარვეზი, კერძოდ, აპირებს, რომ e-ფლოუში ჩაერთოს და დაიწყოს ელექტრონული საქმისწარმოება მას შემდეგ რაც პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ივეტში აისახება მათ ორგანიზაციაზე ინფორმაცია ავტორიზაციის დასრულების შემდგომ. აღნიშნული გათვალისწინებულია შესაბამისობის გეგმაში.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.2. შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია - ელექტრონულ საქმისწარმოებაში ი-ფლოუში ჩაერთოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში.

2.2.1.3. დაწესებულების მიერ პროგრამის განმახორციელებელი პირების უმრავლესობას არ უდასტურდებათ პროფესიული მოდულების ფარგლებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნა „ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია“ არაა დაკმაყოფილებული.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ხარვეზი, კერძოდ, შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის“ კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის N 121 ბრძანების შესაბამისად, კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების პროფესიული კომპეტენციის ამაღლების სწავლება ჩატარდა 2024 წლის 22, 23 და 24 ივნისს. დადოკუმენტირდა ტრენინგზე დასწრების ოქმი. აღნიშნულ ტრენინგზე დაიფარა შემდეგი საკითხები:
კოლეჯის ფუნქციონირების საკანონმდებლო მოთხოვნები;
კოლეჯის ფუნქციონირების სახელმძღვანელო, მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
პროფესიული მასწავლებლის ვალდებულებები;
მოდულური სწავლება;
თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდები;
კალენდარული გეგმა;
სტუდენტების შეფასება (შუალედური და დასკვნითი).
დაწესებულებას ტრენინგის გეგმის მიხედვით კოლეჯის მასწავლებლების პროფესიულ მასწავლებლად დახელოვნების მიზნით დაგგმილი აქვს ტრენინგების მორიგი ციკლი სასწავლო პროცესის დაწყებამდე აგვისტორს 8-9 რიცხვებში. ასევე კოლეჯის დირექტორის N121-1 ბრძანებით დადგინდა შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი”-ის კოლეჯში პროფესიული მასწავლებლების პოზიციაზე აყვანილი ნებისმიერი მასწავლებლისთვის სავალდებულოდ განისაზღვრა 15 საათიანი ტრენინგის ჩატარების ვადებულება და შიდა სერტიფიცირება პროფესიული მასწავლებლის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე. რაც განხორციელდება ნებისმიერი ახლად-აყვანილი მასწავლებლის შემთხვევაში პროფესიულ მასწავლებლად ჩამოყალიბებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია.

ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია - დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები პროფესიული განათლების მასწავლებელების სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციების ასამაღლებლად.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.2.2.1. სასურველია მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს ის ფაქტორები/მიზეზები რამაც შესაძლოა განაპირობოს არაგეგმიური მონიტორინგის საჭიროება.

3.1.1.5. სასურველია, მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით წარმოდგენილი ჩანაწერი „პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში“ დაკორექტირდეს შემდეგნაირად „პროფესიული სტუდენტი ჩართული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში.“

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და 7აგვისტომდე მოახდენს დოკუმენტის კორექტირებას. აღნიშნული კი ასახული აქვს შესაბამისობის გეგმაში.

3.2.1.2. სასურველია, დაკონკრეტდეს თუ რომელი სამსახური შეასრულებს სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, აკადემიის დირექტორის ბრძანებით 7 აგვისტომდე განხორციელდება დოკუმენტის განახლება და განისაზღვრება სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაზე პასუხისმგებელი სამსახურის განსაზღვრა. აღნიშნული კი გათვალისწინებულია აკადემიის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.2.1.4. სასურველია, დამატებით გაიწეროს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, 7 აგვისტომდე გაიწერება დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით.

4.1.1.1 სასურველია, დებულება და სტრუქტურა მოიყვანონ ერთმანეთთან შესაბამისობაში. დაწესებულებას აქვს სამსახურები და მხოლოდ სამსახურის უფროსის პოზიციები. სასურველია სამსახურში მინიმუმ ორი პოზიცია იყოს გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურის ნაცვლად ჰქონდეს მენეჯერის პოზიცია.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, სამსახურებში სადაც ერთი პირი იყო წარმოდგენილი დამატებით მეორე პირის აყვანასთან დაკავშირებით და 4 აგვისტომდე მოხდება პროცესის დასრულება. აღნიშნული გათვალისწინებული არის აკადემიის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში.

4.1.2.3 სასურველია, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს პირადი საქმეების მოწესრიგება და სრულყოფა.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შესაბამისობის გეგმით 14 აგვისტომდე უზრუნველყოფს პირადი საქმეების მოწესრიგება/სრულყოფას.

2.2.1.2 ვინაიდან დაწესებულება გეგმავს ერთდროულად სწავლება განახორციელოს 3-3 ჯგუფად თითო ნაკადში, სასურველია გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, განსაკუთრებით იმ მოდულებში სადაც მხოლოდ თითო განმახორციელებელი ჰყავს შერჩეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, დაიწყო პროცესი, რომ გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, რაც დასრულდება 1 თვის პერიოდში. აღნიშნული კი დაწვრილებით არის გაწერილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრმა“ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ 19 ივლის გაგზავნილ N# MES 8 24 0000886311 დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. ასევე წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი: იდენტიფიცირებული სრული შეუსაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შესაბამისობის ტიპი (მეტწილი/ნაწილობრივი), შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები, დაწყების სავარაუდო თარიღი, დასრულების სავარაუდო თარიღი, დრო (თვეებში) შეფასების მომენტიდან დასრულებამდე, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, შემსრულებელი, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა, მატერიალური რესურსები, დამატებით საჭირო მატერიალური რესურსები, დამატებით საჭირო მატერიალური რესურსის გამოყენების ფორმა, შესრულების ინდიკატორები, დადასტურების წყარო, რისკები და ამ რისის დადგომის ალბათობა %, შენიშვნა.
ავტორიზაციის ექსპერტებმა გავიზიარეთ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, რაც ავსახეთ დასკვნაში შესაბამის ხარვეზებთან და განმავითარებელ ღონისძიებებთან მიმართებაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება
   1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს**

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების ძირითად მიზანებთან, კერძოდ კოლეჯის მისიაა - შრომის ბაზარზე მოთხოვნადი შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური პროფესიული კადრების შექმნა და საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოების კულტურის განვითარება. დაწესებულების მისიით გაცხადებულია კოლეჯის როლი თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში. იგი გულისხმობს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებასა და ესოდენ საჭირო სპეციალისტების დეფიციტის აღმოფხვრას.

ინდიკატორი 1.1.1.1. შესაბამისობაშია.

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;**

შპს "უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი" არის მონოპროფილური დაწესებულება შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, რაც დეკლარირებულია მისიაშიც. მისი მახასიათებელია სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის მხარდაჭერა, პროგრამის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა. მისიით განსაზღვრულია ასევე კოლეჯის როლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განათლების სისტემაში, რაც გულისხმობს უსაფრთხოების მიმართულებით, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების მომზადება და გადამზადებას.

დაწესებულების მისიის ფორმულირება შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პროფილი, მისი ადგილი და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან, კერძოდ დაწესებულება აქცენტს აკეთებს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის თანამედროვე მოთხოვნების სწავლებაზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებას, გაძლიერებასა და განმტკიცებას.

ინდიკატორი 1.1.1.2. შესაბამისობაშია.

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;**

კოლეჯის ხედვა გამომდინარეობს მისიიდან, რაც გულისხმობს საანგარიშო პერიოდში კოლეჯის ევოლუციას რეიტინგულ და ღია საგანმანათლებლო სივრცედ, რომელიც წარმოდგენილი იქნება თანამედროვე, აქტუალური შრომის უსაფრთხოების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებით, შრომის ბაზრისთვის ქმნის შრომის უსაფრთხოების ყველა არსებული საკანონმდებლო ნორმის დაცვით და უსაფრთხოების კულტურაზე აქცენტირებით მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსს, რითაც წვლილი შეაქვს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში.

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, ასევე, ის ძირითადი ღირებულებები, რომლითაც ხელმძღვანელობს წარმატებული საქმიანობისთვის, კერძოდ: კოლეჯი მხარს უჭერს კრიტიკულ, ინოვაციურ და შემოქმედებით აზროვნებას; საქმიანობას წარმართავს მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის და ხარისხის განვითარების პრინციპებით; ეწევა კოლეგიალობაზე, გუნდურ მუშაობაზე, ეთიკასა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებულ საქმიანობას; იცავს საქართველოს შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებულ ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას და აყალიბებს შრომის უსაფრთხოების კულტურას მისი ფუნქციონირების სფეროში.

ინდიკატორი 1.1.1.3. შესაბამისობაშია.

4. **მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესწავლილი დოკუმენტაციით - მიმოწერა დაინტერესებულ მხარეებთან, უკუკავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები - დადგინდა, რომ კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება და გაზიარება განხორციელდა გუნდურად, ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით. მათ შორის იყვნენ კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი, დამსაქმებლები, განმახოციელებელი პირები. საჯაროობის კოლეჯის მისია ხედვა და ღირებულებები განთავსებულია ოფიციალურ ვებგვერდზე, ველში - ჩვენ შესახებ რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვანი აუდიტორიისათვის მათ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი 1.1.1.4. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებული კოლეჯის ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი https://safetyacademy.ge/kolejis-misia-xedva-girebulebebi/;
- სამიზნე აუდიტორიასთან მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების და შეფასების კითხვარი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №2406/123 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2031 წწ, რომელიც შემუშავებულია **სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით.** მეთოდოლოგია დეტალურად აღწერს და განმარტავს დაგეგმარების მიმართულებებს, შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების მექანიზმებს. ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კოლეჯი წელიწადში ერთხელ ახორციელებს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს და ანალიზს, ხოლო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და ანალიზს - კვარტალში ერთხელ. **სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის** წარმოდგენილი დოკუმენტი მოიცავს ყველა იმ კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების ეფექტურობას. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

ინდიკატორი 1.2.1.1. შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2 **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;**

დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა (2024-2031 წწ.) ერთობლივი მუშაობის შედეგია. ის მიმოიხილავს დაწესებულების გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს. სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია დაინტერესებული ფოკუს-ჯგუფების ჩართულობით, კერძოდ: შრომის ბაზარზე ოპერირებადი დამსაქმებლები; შრომის უსაფრთხოების სფეროში დასაქმებულები; დასაქმების მაძიებლები; ზედამხედველობის ორგანოები. სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურებიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობის შესახებ.

სტრატეგიული გეგმა ასახავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, გამოხატავს მის ხედვებსა და პასუხისმგებლობებს ქვეყნის, საზოგადოების, პროფესიული სტუდენტის, პერსონალის მიმართ, ასევე აახლოვებს იდეებისა და ღირებულებების შესაბამისობას პროფესიული კოლეჯის განვითარების პერსპექტივასთან.

სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა განსაზღვრა დაინტერესებულ მხარეთა წრე, კვლევის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები, და დასაქმების მაძიებლები, კვლევა განხორციელდა პირდაპირი ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. გაანალიზა მათი ინტერესები და საჭიროებები, მოლოდინები, დამოკიდებულებები და გასატარებელი ღონისძიებები. შესაბამისად ერთობლივად შემუშავდა სტრატეგიული განვითარების ძირითადი 6 სტრატეგიული მიზანი და შესასრულებელი ამოცანები, რომლებშიც გათვალისწინებულ იქნა ის სუსტი მხარეები და შესაძლებლობები, რომლებიც SWOT ანალიზის დროს გამოიკვეთა. თავის მხრივ სტრატეგიული გეგმა გახდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველი. შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტები დამტკიცებამდე განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან ონლაინ შეხვედრების ფორმატში.

ინდიკატორი 1.2.1.2. შესაბამისობაშია.

3 **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი (2024-2031 წწ) გეგმის მიხედვით დასახული მიზნები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. კერძოდ განსაზღვრულია 6 მიზანი: თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ინფორმაციული ტექნოლოგიებით და სასწავლო რესურსით; უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო გარემოს განვითარება; შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარება; კოლეჯის საზოგადოებაზე (სტუდენტები, პერსონალი) მიმართული სერვისების განვითარება; საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება; ეფექტური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამჭვირვალე მმართველობის სისტემის განვითარება. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს შვიდწლიან საანგარიშო პერიოდში თითოეულ წელს შესასრულებელ ამოცანას, განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები და სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს.
2024 წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია მიზნები, ამოცანები, ინდიკატორები, განხორციელების ვადები, მტკიცებულებები და შემსრულებლები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), წარმოდგენილია დასახული აქტივობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსი.
ინდიკატორი 1.2.1.3. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასები მეთოდოლოგია;
- უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- დაინტერესებულ მხარეთა კვლევის ანგარიში, 2024 წლის თებერვალი;
- მისია, ხედვა და ღირებულებები - გამოქვეყნებული კოლეჯის ვებ-გვერდზე https://tegetaacademy.edu.ge/ka/about;
- გასაუბრების შედეგები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი, რაც გულისხმობს განხორციელებული საქმიანობების გაწერილ მიზნებსა და ამოცანებთან თანხვედრის შემოწმებას და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას. შესაბამისად, კოლეჯის მიერ სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესისთვის განისაზღვრა სტრატეგია, რაც გულისხმობს სამოქმედო გეგმის შეფასებას წელიწადში ერთჯერ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგი, რომელიც დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე წარიმართება. კოლეჯის რეგულაციის თანახმად მონიტორინგის განხორციელებაზე უფლებამოსილია გეგმის მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. გეგმის მონიტორინგი გულისხმობს სტრატეგიული მიზნების შესრულებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებას. მონიტორინგის საკვლევი ნიშნულებია: ა) გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები, რომლებიც შესრულებულია; ბ) გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ფერხდება; გ) გეგმით განსაზღვრული ამოცანის აქტუალობის გადახედვის და კორექტირების საჭიროება; დ) გეგმაში ამოცანების დამატების საჭიროება; ე) დადგენილი ვადების დაცვა. შეფასების შედეგად თითორეულ ინდიკატორი ფასდება ჩანაწერით «შესრულდა», «ნაწილობრივ შესრულდა», «არ შესრულდა».

როგორც აღვნიშნეთ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგი, რომელიც დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე წარიმართება, მაგრამ არაა დაკონკრეტებული ის მიზეზები და ფაქტორები, რაც შესაძლოა გახდეს არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების წინაპირობა.

ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს ის ფაქტორები/მიზეზები რამაც შესაძლოა განაპირობოს არაგეგმიური მონიტორინგის საჭიროება. ინდიკატორი 1.2.2.1. შესაბამისობაშია.

2 პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს, რამდენადაც იგი არ წარმოადგენს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, არ განუხორციელებია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შედეგების შეფასება. აღნიშნული პროცესი დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით დაიწყება ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან გეგმით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად. ამ ეტაპზე ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში შესაბამისი მექანიზმის არსებობა.

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად სტრატეგიული და განვითარების გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება აფასებს გეგმების შესრულების შესაბამისობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გეგმა-გრაფიკთან და განსაზღვრავს რეაგირების საჭიროებას თუ ფორმებს. დოკუმენტის შესაბამისად გეგმების შესრულების შეფასებაზე რეაგირების ფორმებია: გეგმის კორექტირება; კონკრეტული ამოცანებისა და აქტივობების ამოღება/დამატება; ვადების გადაწევა; პასუხისმგებელ პირთა მიმართ დისციპლინური/წამახალისებელი ფორმების გამოყენება.
მონიტორინგის და შეფასების ანგარიში წარედინება კოლეჯის დირექტორს. შეფასების პროცესში გამოკვეთილი პრობლემური საკითხების შესახებ მონიტორინგის ჯგუფი შეიმუშავებს გაუმჯობესების რეკომენდაციებს და განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
ინდიკატორი 1.2.2.2. შესაბამისობაშია.

3 სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
რამდენადაც შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს, არ განუხორციელებია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შედეგების შეფასება, მისი შედეგების ფიზიკურად არ არსებობს. რაც შეეხება რეგულაციას, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტის 7 პუნქტის მიხედვით დაწესებულება ვალდებულია გეგმის შესრულების შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების წლიური ანგარიშები განათავსოს კოლეჯის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს წლის შემაჯამებელი ანგარიშის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.3. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
- სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №123 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, სტატუსის შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების წესი. ამავე წესით რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცედურები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყველა წარმოდგენილი წესი არსებული მოთხოვნების შესაბამისადაა შემუშავებული.

ინდიკატორი 3.1.1.1. შესაბამისობაშია.

2 პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის ,,პროფესიული სტუდენტის ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან“ თანახმად, სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. კერძოდ: წესის შესაბამისად დაწესებულება განახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება, ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას გაუწევს კოლეჯი, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის პირველივე სასწავლო დღეს მოეწყობა გაცნობითი შეხვედრა, სადაც ხორციელდება პროფესიული სტუდენტების ინფორმირება დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ, სტუდენტებს ეძლევათ განმარტება დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ. აღნიშნული შეხვედრა სრულდება დაწესებულების შენობაში ექსკურსიის მოწყობით. სტუდენტების მიერ მათი უფლებების გაცნობის ფაქტი დასტურდება სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებითაც.

ინდიკატორი 3.1.1.2. შესაბამისობაშია.

3 პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

კოლეჯის დირექტორის 19.06.2024ის N#2406/111 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“ მე-10 მუხლის ,,შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება“ მიხედვით გაწერილია ინფორმაცია სტუდენტების შეფასების პროცედურებზე, კერძოდ: შეფასების სისტემის შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეიძლება განახორციელოს მოდულის განმახორციელებელმა პირმა ან/და სასაწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერმა/ადმინისტრაციის წარმომადგენელმა. შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება ხორციელდება შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე. შეფასების ჩატარებამდე პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებელია მიეწოდოს შემდეგი სახის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია: შეფასების თარიღი, შეფასებისათვის განკუთვნილი დრო, შესაფასებელი სწავლის შედეგების ჩამონათვალი, შეფასების პირობები, სავარაუდო თემატიკა, წარმოსადგენი მტკიცებიულებების სახეები, განმეორებითი შეფასების პირობები და სხვა. პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხდება არანაკლებ 2 სამუშაო დღეში. პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ზეპირსიტყვიერი, ისე წერილობითი ფორმით.
კოლეჯის მიერ დამუშავებული წარმოდგენილი რეგულაცია, არ ითვალისწინებს სტუდენტის სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს, რაც თავის მხრივ გარკვეულწილად უზღუდავს მათ კანონიერ უფლებას ისარგებლონ დაფიქსირებული შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეფასების ჩატარებამდე სტუდენტის ინფორმირებისთვის განსაზღვრული ვადა 3 დღე შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სასწავლო პროცესი აქტიურ ფაზაშია და შესაბამისად შეფასებისთვის მოსამზადებლად საჭირო დრო არასაკმარისია.
აუცილებელია წარმოდგენილ დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“ გაიწეროს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაჩივრებისა და აპელაციის საკითხებს.
მიზანშეწონილია სტუდენტს მოსალოდნელი შეფასების ჩატარების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს მოდულის დაწყებისას, ან მინიმუმ 1 კვირით ადრე.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ, მაგრამ ვერ ისარგებლებენ საჭიროების შემთხვევაში, შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.
ინდიკატორი 3.1.1.3. არ არის შესაბამისობაში.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ხარვეზი, კერძოდ, პროგრამის დანართში N 6 „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ გაწერს შესაბამის მექანიზმს, რომელიც დაარეგულირებს სტუდენტთა სწავლის შედეგების გასაჩივრებისა და აპელაციის საკითხებს. დოკუმენტის განხორციელების ვადად მითითებული არის 7 აგვისტო. განახლებული დოკუმენტი ატვირთული იქნება აკადემიის ვებ-გვერდზე და მოხდება ინფორმაციის დეტალურად მიწოდება დაწესებულების პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის. მტკიცებულების სახით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი პროცესი.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.1.1.3. გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

4 **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. მათ შორის, გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა; სადაც ნათლადაა გაწერილი მათ უფლებები და კანონიერი ინტერესები. არასრულწლოვანებთან ხელშეკრულებები ფორმდება მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ხელშეკრულებების ნიმუშების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ინდიკატორი 3.1.1.4. შესაბამისობაშია.

5 პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №123 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, მე-17 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი, რომელიც განმარტავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსს და საჭიროებებს, კერძოდ ინდ. სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება და გამოიყენება კონკრეტული მოდულის საფუძველზე, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის; მობილობის წესით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით გაწერილია, რომ ,,პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი". მართალია, დაწესებულება არ უკრძალავს პროფესიულ სტუდენტს ინდ.გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ვინაიდან კომპონენტის მოთხოვნა ფორმულირებულია შემდეგნაირად ,,ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით“, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციაა - მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით წარმოდგენილი ჩანაწერი „პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში“ დაკორექტირდეს შემდეგნაირად „პროფესიული სტუდენტი ჩართული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში.“

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და 7აგვისტომდე მოახდენს დოკუმენტის კორექტირებას. აღნიშნული კი ასახული აქვს შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი 3.1.1.5. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №123 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯის დირექტორის 19.06.2024ის N#2406/111 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;
- პსდ ოფიციალური ვებ-გვერდი;
- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი წესები;
- პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №123 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, მე-9 მუხლის ,,პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს იმ მოქმედებებს, რომლებსაც ახორციელებს აკადემია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისთვის, როგორც სწავლის დაწყებამდე, ასევე სწავლის პროცესში. პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას გაუწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისაზრისით. კოლეჯი პერიოდულად, ორგანიზებას გაუწევს პროფესიულ სტუდენტებთან ჯგუფურ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც იკვეთება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და აღნიშნულის მიხედვით იგეგმება სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობათა განხორციელება. კოლეჯი სტუდენტის/ების მიმართვის საფუზველზე კონკრეტულ მხარდაჭერის ღონისძიებას განახორციელებს გონივრულ ვადებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტებთან გასაუბრების დროს დაწესებულების ადმინისტრაციამაც გამოთქვა მზადყოფნა საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს პროფესიულ სტუდენტს ნებისმიერი სახის, მათ შორის ტექნიკური დახმარება, ასისტირება და მენტორინგი სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.2.1.1. შესაბამისობაშია.

2 პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №123 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, მე-8 მუხლის მიხედვით, კოლეჯს გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, როგორც სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს კოლეჯი კერძოდ, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის პირველივე სასწავლო დღეს ეწყობა გაცნობითი შეხვედრა, სადაც ხორციელდება პროფესიული სტუდენტების ინფორმირება დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ, სტუდენტებს ეძლევათ განმარტება დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ. აღნიშნული შეხვედრა სრულდება დაწესებულების შენობაში ექსკურსიის მოწყობით.

პროფესიული სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციების ჩატარება. წარმოდგენილი მექანიზმის შესაბამისად სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან უზრუნველყოფს კოლეჯი, თუმცა არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი სამსახური მოახდენს სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს, თუ რომელი სამსახური შეასრულებს მოცემულ ამოცანას.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, აკადემიის დირექტორის ბრძანებით 7 აგვისტომდე განხორციელდება დოკუმენტის განახლება და განისაზღვრება სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაზე პასუხისმგებელი სამსახურის განსაზღვრა. აღნიშნული კი გათვალისწინებულია აკადემიის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი 3.2.1.2. შესაბამისობაშია.

3 პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №123 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, მე-9 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად გაწერილია სტუდემტთა მიმართვაზე რეაგირების ვადები. პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის მიერ მომართვის შემთხვევაში, მომართვიდან ორი დღის განმავლობაში გეგმავს შეხვედრას აღნიშნულ პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც განიხილავენ მის/მათ საჭიროებებს, უწევენ კონსულტაციებს და შესაბამისად რეაგირებენ. ადმინისტრაციული ხასიათის საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ცნობის გაცემა - მომართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

წარმოდგენილი რეგულაციის შესაბამისად დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გონივრულ ვადებში და ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფის მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.
ინდიკატორი 3.2.1.3. შესაბამისობაშია.

4 პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

კოლეჯის დებულების 24-ე მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახურის მიზნები და ამოცანები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია კოლეჯის სტუდენტთა სპორტული, შემოქმედებითი და მათი თავისუფალი დროის მენეჯმენტთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობა. ამ ეტაპზე რაიმე მექანიზმი, თუ რა ფორმით დაიგეგმება და განხორციელდება აღნიშნული აქტივობები კოლეჯის დოკუმენტებში არ იძებნება.

ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: დამატებით გაიწეროს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი.
დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, 7 აგვისტომდე გაიწერება დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შსაბამისობის გეგმით.
ინდიკატორი 3.2.1.4. შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5 პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კოლეჯს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქვს სტრატეგიული მიზანი 4 ,,კოლეჯის საზოგადოებაზე (სტუდენტები, პერსონალი) მიმართული სერვისების განვითარება", რომლის ერთ-ერთი ამოცანაა სტუდენტებისა და პერსონალის საჭიროებების კვლევას, ამ მიზნით შესაბამის სამსახურებს სამოქმედო გეგმის მიხედვით დაევალა კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა, გამოკითხვის წარმოება და კვლევის ანგარიშის წარმოდგენა. ამ ეტაპზე კოლეჯის მიერ აღნიშნული აქტივობები შესრულებული არ არის, რამდენადაც კოლეჯის წარმომადგენელთა განცხადებით, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების საწყისი ვადა განისაზღვრება ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან. კოლეჯმა ამ ეტაპზე წარმოადგინა მხოლოდ სტუდენტთა დასაქმების კვლევის კითხვარი.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის მიღების აქტივობებს, და შესაბამისად უკუკავშირის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებს პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი 3.2.1.5. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დებულება;
- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №123 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

პროფესიული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის კარიერული მომსახურების მიწოდებას განახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტთა კარიერული განვითარების/დასაქმების პოლიტიკასა და ეფექტიან მექანიზმებს. სტუდენტთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით, დასაქმებასა და კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის, ახორციელებს შეხვედრებს, საინფორმაციო ღონისძიებებს და საჭიროებისამებრ სტუდენტებს უწევს შესაბამის კონსულტირებას. უზრუნველყოფს სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის კავშირის მიზნით თემატური ღონისძიებების, დასაქმების ფორუმების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების თაობაზე ახორციელებს გამოკითხვების კოორდინირებას.

ინდიკატორი 3.2.2.1. შესაბამისობაშია.

2 პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

კოლეჯის დებულებით განსაზღვრული საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური უშუალოდ პასუხისმგებელია უზრუნველყოს კოლეჯში პროფორიენტაცია და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა, მათ შორის: სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა შრომის ბაზრის დინამიკის და მოთხოვნების თაობაზე; სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის კავშირის უზრუნველყოფის მიზნით თემატური ღონისძიებების, დასაქმების ფორუმების და სხვ. ორგანიზება; შშმ და სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვ.) დასაქმების ხელშეწყობა.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის დებულებით განსაზღვრული საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე შეძლებს მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურსდამთავრებულებს განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 3.2.2.2. შესაბამისობაშია.

3 პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
კოლეჯის დებულებით განსაზღვრული საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახურს შემუშავებული აქვს პროფესიული კოლეჯის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა დასაქმების და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენმა სტუდენტმა შეძლო ახლადშეძენილი პროფესიით დასაქმება. კვლევის მეორე მიზანს წარმოადგენს დასაქმებით კმაყოფილების კვლევა. რაც შეეხება დამსაქმებელთა კვლევას იგი ატარებს უფრო ზოგად ხასიათს და მხოლოდ ირიბადაა შეხებაში (მხოლოდ სტაჟირების ეტაპზე) პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევასთან.
კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი აქტიურად გეგმავს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას და საჭიროების შემთხვევაში მათ დასაქმებაზე ზრუნვას.
ინდიკატორი 3.2.2.3. შესაბამისობაშია.

4 კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს
კოლეჯის მიერ შემუშავებული დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევის წესის შესაბამისად, კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც თავის თავში მოიცავს გასაუმჯობესებელი ნიშნულების გამოვლენას და მასზე რეაგირების მექანიზმის დამუშავებას. ექსპერტთა ვიზიტის დროს **აღნიშნული წესი დამტკიცებული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ და მასში გაწერილი იყო ისეთი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც კოლეჯს არ გააჩნდა, თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, გაირკვ,ა, რომ ძველი ვერსია ჰქონდათ მოწოდებული და ვიზიტის პერიოდში მოხდა ხარვეზის გამოსწორება.**
ინდიკატორი 3.2.2.4. შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევის წესი დამტკიცებული დირექტორის მინდობილი პირის მიერ 29.02.2024 წ. №230037196 (არსებული დოკუმენტი);
- კოლეჯის დებულება;
- პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დებულება, რომლის მიხედვით დაწესებულების მართვის ორგანოა კოლეჯის დირექტორი, ხოლო სტრუქტურული ერთეულებია: 1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 3) პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური; 4) ადმინისტრაცია და საქმისწარმოების სამსახური; 5) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური; 6) იურიდიული სამსახური; 7) საფინანსო სამსახური; 8) ბიბლიოთეკა; 9) მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური; 10) საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური. დებულებაში გაწერილია თითოეული სამსახურის მიზნები და ამოცანები და სამსახურის უფროსის უფლება მოვალეობები.

დებულება და სტრუქტურა არ ემთხვევა ერთმანეთს. სტრუქტურა ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოებისა და დაცის სამსახურს, რაც დებულებაში არ არის ასახული. დებულებაში ჩამოთვლილია ზემოთაღნიშნული სტრუქტურული ერთეულები, ხოლო სტრუქტურაში სტრუქტურულ ერთეულებად მიჩნეულია მხოლოდ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია და საქმისწარმოების სამსახური და საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულად გამოყოფილია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. დანარჩენი სამსახურები: ბიბლიოთეკა, პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური, იურიდიული სამსახური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, ფინანსური სამსახური, შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახური და კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებად არის გათვალისწინებული.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - გადაიხედოს დაწესებულების დებულება და სტრუქტურა და მოიყვანონ ერთმანეთთან შესაბამისობაში. დაწესებულებას აქვს სამსახურები და მხოლოდ სამსახურის უფროსის პოზიციები. სასურველია სამსახურში მინიმუმ ორი პოზიცია იყოს გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურის ნაცვლად ჰქონდეს მენეჯერის პოზიცია.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, სამსახურებში სადაც ერთი პირი იყო წარმოდგენილი დამატებით მეორე პირის აყვანასთან დაკავშირებით და 4 აგვისტომდე მოხდება პროცესის დასრულება. აღნიშნული გათვალისწინებული არის აკადემიის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი 4.1.1.1 შესაბამისობაშია.

2.პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომელშიც გაწერილია მათი ფუნქციები და მოვალეობები. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ხელს შეუწყობს.

ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია.

3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, რომლის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გარე ფაქტორების გათვალისწინებით შეიმუშავებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც გულისხმობს მისი საქმიანობის ციკლით - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ – წარმართვას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელთანაც კოლეჯის დირექტორი აფორმებს შრომით ხელშეკრულებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: ახორციელებს ხარისხის შიდა შეფასებას, შეიმუშავებს და მათი გამოყენებით აწარმოებს სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის ანონიმურ ან/და ღია გამოკითხვებს, ესწრება ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობების მიმდინარეობას, დადასტურების (შეფასების) პროცესს, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელთა, ასევე შეფასების, გამოკითხვისა და ზოგადად პროცესის ხარისხის შეფასების მიზნით, ამოწმებს ბიბლიოთეკის მუშაობას და წიგნადი ფონდის განსახორციელებელ პროგრამასთან შესაბამისობას, ახორციელებს ვებ-გვერდის მონიტორინგს, მონაწილეობს თავითშეფასების ანგარიშებსა და თვითშეფასების კითხვარის შევსების პროცესში, ახორციელებს მონიტორინგს საავტორიზაციო პირობების დაკმაყოფილების კრიტერიუმებს და ხარვეზების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს, კოორდინაციას უწევს ავტორიზაციის, რეავტორიზაციის, პროგრამის დამატებისა და ცვლილების პროცესებს, ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშებს სამოქმედო გეგმის განხორციელების, შენიშვნების, ხარვეზების, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ და ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და არ არის გადაკვეთა და ინტერესთა კონფლიქტი სასაწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობასთან. აღნიშნული დადასტურდა პროცესების მიმდინარეობით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესსებულების დებულება;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- სტრუქტურა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ინტერვიუს შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

დაწესებულებაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობით, დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკითა და შინაგანაწესით. პერსონალის მართვის პოლიტიკა სრულად იზიარებს კოლეჯის მისია/ხედვა/სტრატეგიულ გეგმაში გაცხადებულ მიზნებს. კოლეჯის პერსონალი შემდეგნაირად კლასიფიცირდება: 1. სასწავლო პერსონალი -პროფესიული მასწავლებლები, ტრენერები, მოწვეული მასწავლებლები; 2. ადმინისტრაციული პერსონალი; 3. დამხმარე პერსონალი. კოლეჯი კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით იყენებს ისეთ საკადრო მიდგომებს, როგორებიცაა საჯარო კონკურსის გამოცხადება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საკადრო რეკომენდაციების განხილვა; ახალგაზრდა კადრების დაინტერესება; კონკურენტუნარიანი ანაზღაურების შეთავაზება; საგანმანათლებლო საქმიანობის ადექვატური და კომფორტული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა; პერსონალისთვის უწყვეტი განათლების შესაძლებლობის მიცემა; პერსონალის წახალისება და კორპორატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობა. კოლეჯის დასაქმების პოლიტიკა გულისხმობს საშტატო ერთეულის ანალიზსა და საჭიროების განსაზღვრას; კადრების მოზიდვას; კანდიდატების შერჩევას; ახალი თანამშრომლების ინტეგრირებას. დაწესებულების შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრულია დასაქმებულთა შრომის პირობები, შრომითი ვალდებულებები და მათთან დაკავშირებული წახალისებისა და სანქციების გამოყენების წესი.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია დაწესებულების შინაგანაწესთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და კოლეჯის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციას. განხორციელდა ინტერვიურება დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის პირობებთან დაკავშირებით, პერსონალის დანიშვნა ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო მართვა კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით. მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია.

2.პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის შერჩევას, კერძოდ, სასწავლო პერსონალი თანამდებობაზე მიიღება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე. ადმინისტრაციული და დამხმარე კადრების აყვანა ხდება დანიშვნის წესით. ადმინისტრაციული პერსონალის დანიშვნა შესაძლებელია განხორციელდეს როტაციის, გაწეული რეკომენდაციის განხილვის ან ღია კონკურსის საფუძველზე. მოწვეული პერსონალი მიიღება დანიშვნის წესით. პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის შესარჩევ კონკურსს, აპლიკანტების შერჩევას, გასაუბრებას, თანამშრომლის მიღებას და ორგანიზაციაში მისი ინტეგრაციის ხელშეწყობას. დასაქმების პოლიტიკა ემყარება შემდეგ პრინციპებს: 1. სამართლიანობა -არადისკრიმინაციული, ობიექტური და მიუკერძოებელი გარემო; 2. თანასწორობა - თანაბარი შესაძლებლობები განურჩევლად ასაკის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური და რასობრივი კუთვნილებისა, სოციალური წარმომავლობისა და პოლიტიკური მრწამსისა; 3. გამჭვირვალობა -საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია.

3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელშიც გაწერილია სამუშაოს აღწერა და წარმოებს თითოეული საშტატო ერთეულის კონკრეტული თანამდებობისთვის და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: 1. საშტატო ერთეულის სახელწოდება 2.სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/თანამშრომელი პირები; 3. საქმიანობის სფერო, ფუნქციები, უფლებამოსილება; 4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები; 5. ანგარიშვალდებულება; 6.სამუშაო საათები; 7. ანაზღაურება და ბენეფიტები; 8. სხვა დამატებითი პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კონკრეტული თანამდებობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინირებით, შეიმუშავებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც ხდება აპლიკანტის შეფასება და შერჩევა. საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: განათლება და კვალიფიკაცია; მინიმალური სამუშაო გამოცდილება; სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები, რაც არ ჰქონდა წარმოდგენილი უმეტესობას. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნულ ცნობებს წარმოადგენდნენ უმოკლეს ვადაში.

შესაბამისად ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს პირადი საქმეების მოწესრიგება და სრულყოფა.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შესაბამისობის გეგმით 14 აგვისტომდე უზრუნველყოფს პირადი საქმეების მოწესრიგება/სრულყოფას.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია.

4.პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილია, რომ კორპორატიული კომუნიკაცია საგანმანათლებლო დაწესებულების გამართული ფუნქციონირების, თანამშრომელთა მოტივირებულობისა და შრომითი კმაყოფილების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. კორპორატიული კომუნიკაციისა და გუნდურობის გასაუმჯობესებლად კოლეჯი გეგმავს და ახორციელებს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ღონისძიებებს. კორპორატიული კომუნიკაციის გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის მიერ საკუთარი თავის საგანმანათლებლო დაწესებულების ნაწილად აღქმა; პერსონალის სურვილი და შესაძლებლობა ჩაერთოს კოლეჯის ცხოვრებაში; პერსონალის პროფესიული სიამაყის განცდა. გუნდური მუშაობის პრინციპი, როგორც ერთ-ერთი ღირებულება იკითხება დაწესებულების ღირებულებებში: „აღიარებს რა კორპორატიულ კულტურას, ეწევა კოლეგიალობაზე, გუნდურ მუშაობაზე, ეთიკისა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებულ საქმიანობას“. ექსპერტების ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებულია გუნდური თანამშრომლობის პრაქტიკა, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში ისე სხვადასხვა სახის განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვაში.

ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შრომის შინაგანაწესი;
- ეთიკის კოდექსი;
- კოლეჯის ვებ-გვერდი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- პერსონალთან გაზიარებული მარეგულირებელი ტოკუმენტების გაზიარების და უკუკავშირის მტკიცებულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1,პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას. პერსონალის შეფასების მიზანია: პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი და პერსონალის საჭიროებათა კვლევა, დასაქმებულის მხრიდან საკუთარი მნიშვნელობის და მის მიმართ არსებული მოლოდინების გაცნობიერება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და ადმინისტრირების გაუმჯობესება, პერსონალის პოტენციალის აღმოჩენა და განვითარება, შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრა, დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. შეფასების მექანიზმი გულისხმობს გამოკითხვას, მონაცემთა დამუშავება-ანალიზს, რეკომენდაციების მომზადებას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-გატარებას. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ინფორმირებულები არიან აღნიშნულის თაობაზე და გეგმავენ შედეგების ანალიზის საფუძველზე განახორციელონ შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

ინდიკატორი 4.2.1.1. შესაბამისობაშია.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით..

დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილია ინდივიდუალური პროფესიული გეგმა, რომლის შესაბამისად სასწავლო წლის დასაწყისში პერსონალი განსაზღვრავს ინდივიდუალურ პროფესიულ მიზნებს და ასახავს საკუთარ სამოქმედო გეგმაში. გეგმა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1. მომდევნო წლის პროფესიული მიზნები - მომდევნო წლისთვის განსაზღვრული მიზნები შესრულების ინდიკატორებით; 2. საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების პრიორიტეტები - საქმიანობის ის სფეროები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს და გაუმჯობესების კონკრეტული ამოცანები; 3. პროფესიული განვითარების საჭიროება - საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ღონისძიებები, როგორებიცაა ტრენინგები, მენტორის დახმარება და სხვ.

ინდიკატორი 4.2.1.2. შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაწესებულება ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. აღნიშნული განსაზღვრულია კოლეჯის როგორც სტრატეგიულ ისე სამოქმედო გეგმაში. ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი გულისხმობს პროფესიული მასწავლებლის უწყვეტ განათლებაზე მიმართულ ღონისძიებებს. გათვალისწინებულია განათლების ხარისხის თემატიკაზე - სწავლების თანამედროვე მეთოდები, სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და სხვ. სამოქმედო გეგმით გაწერილია სულ მცირე ოთხი ასეთი ტრენინგის ჩატარება. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აპირებენ პროფესიული მასწავლებლების სისტემატურ ჩართვას, როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უნარების სააგენტოს თუ სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ განმავითარებელ ტრენინგებზე, ისე დაწესებულების მიერ საკუთარი ძალებით, შიდა რესურსებით მოწყობილ ტრენინგებზე.

ინდიკატორი 4.2.1.3. შესაბამისობაშია.

4.პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომლის მიღებას და ორგანიზაციაში მის ინტეგრაციის ხელშეწყობას. დაწესებულების პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური, უშუალოდ სამსახურის უფროსი, რომელშიც იქნა ახალი კადრი აყვანილი და თანამშრომლები უზრუნველყოფენ ახალი თანამშრომლის ადაპტაციასა და დაწესებულების საზოგადოებაში ინტეგრაციას. სამსახურში მიღებისას დაწესებულების პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური ვალდებულია თანამშრომელთან ჩაატაროს საორიენტაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებში თანამშრომელს მიეწოდება ინსტრუქცია კონფიდენციალური ინფორმაციის გაუხმაურებლობის თაობაზე; თანამდებობრივი ინსტრუქცია და დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები; დაწესებულების მისი, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული გეგმა; კოლეჯის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექს, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სამუშაო განრიგი; ინფორმაცია ანაზღაურების, ბენეფიტების, კოლეჯში მოქმედი სერვისების და სამომავლო პროფესიული პერსპექტივების შესახებ; ეცნობა სამუშაო სივრცეს; უმზადდება კორპორატიული ელ.ფოსტა და საბანკო ანგარიში. თანამშრომელთა საორიენტაციო პროგრამა ასევე მიზნად ისახავს დაწესებულების საზოგადოებისათვის ახალი თანამშრომლის წარდგენას; მისთვის კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სხვა რესურსების გაცნობას. ახალ სამუშაო გარემოში სრულფასოვანი ადაპტაციის მიზნით, თანამშრომლის აყვანიდან პირველი ექვსი კვირის განმავლობაში მისი უშუალო ხელმძღვანელი, აგრეთვე პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური რეგულარულად ამყარებენ მასთან კომუნიკაციას, ერთობლივად განიხილავენ მუშაობის საწყის ეტაპზე წამოჭრილ პრობლემებს და ერთობლივად სახავენ მათი გადაჭრის გზებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 4.2.1.4. შესაბამისობაშია.

5.პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის განვითარებას, პერსონალთა განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერას და მათ წახალისებას. პერსონალის განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები ეფუძნება პერსონალის საქმიანობის შეფასების და პერსონალის საწიროებაა კვლევის ანალიზს. პერსონალის განვითარებაზე მიმართული აქტივობებია: უწყვეტი განათლების პროგრამები - კონკრეტული სასწავლო კურსები, ტრენინგები, ვორქშოფები, სამუშაო სემინარები; პერსონალის განმავითარებელი დავალებები - კომპეტენციის ფარგლებში მიცემული დავალება, რომელიც ახალი გამოწვევაა პერსონალისთვის და ხელს შეუწყობსმის პროფესიულ განვითარებას. დაწესებულების თანამშრომელი ან თანამშრომელთა ჯგუფი ინიციატივის პროექტს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, რომელიც მოამზადებს შესაბამის წარდგინებას დირექტორის სახელზე. პერსონალთა განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების წახალისების მიზნით დაწესებულება სარეზერვო ფონდიდან დააფინანსებს სწავლა-სწავლების პროცესში ახალი მეთოდების დანერგვასთან, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაკავშირებული პროექტები. საპროექტო განაცხადის წარმოდგენა შეუძლია, როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს. თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის , განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისთვის, ასევე მისი საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე გამოიყენება სხვადასხვა წახალისების ფორმები: მადლობის გამოცხადება; შესაბამისი სიგელის გადაცემა; ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემა; ფასიანი საჩუქრის გაცემა.

ინდიკატორი 4.2.1.5. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების შინაგანაწესი;
- დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- კმაყოფილების კვლევის კითხვარების ფორმები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულებით (2030 წლის 4 მარტის ჩათვლით) გადაცემული აქვს ფართი ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ. N 14-ში (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი #01.14.05.008.158) შენობის მე-4 სართულზე, სულ 565.91. კვ.მ. შენობაში უზრუნველყოფილია უწყვეტი ელექტრო ენერგიის მიწოდება, ცენტრალური გათბობა, ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები და ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის, კერძოდ, ლიფტი და სველი წერტილი. დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები). დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა:

- ფოიე;
- 1 A გარემო - 26 პროფესიულ სტუდენტზე;
- 2 A/C გარემო - 26-26 პროფესიულ სტუდენტზე;
- 1 B გარემო - 13ი პროფესიულ სტუდენტზე;
- ბიბლიოთეკა და სამედიცინო კუთხე;
- ადმინისტრაციისათვის სივრცე;
- სწრაფი კვების კაფეტერია;
- სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების მფლობელობაშია კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ასლგადამღები აპარატი, სკანერი, სამეთვალყურეო კამერები, საპროექციო ეკრანები, კონდიციონერები.

ინდიკატორი 5.1.1.1 შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.**

დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს სტუდენტზე მიმართული ყველა სერვისით, თანასწორ პირობებში ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით. ხელმისაწვდომობის ფარგლები ასევე რეგულირებულია დაწესებულების - მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების წესით. წესის გაცნობას დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური სასწავლო წლის დაწყებისას.

ექსპერტები გავესაუბრეთ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰყავდა სტუდენტები, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის. კერძოდ, იგი წესის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას მოახდენს მათი მიღებიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში.

ინდიკატორი 5.1.1.2 შესაბამისობაშია.

3. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელიც ითვალისწინებს შენობის დასუფთავების წესს, სწრაფი კვების კაფეტერიის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სანიტარული კვანძების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. დაწესებულების ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი ევალება შრომის უსაფრთხოების და დაცვის სამსახურს. შენობის სივრცეების დასუფთავებას ტექნიკურად უზრუნველყოფს დამლაგებელი, რომლის სამუშაო დარეგულირებულია ხელშეკრულებით.

ვიზუალური დათვალიერებით **ინდიკატორი 5.1.1.3 შესაბამისობაშია.**

4. **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.**

დაწესებულების სასწავლო ფართი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ასევე კომუნალური გადასახადების ქვითრებით. შესაბამისად, ყველა სასწავლო აუდიტორია და ადმინისტრაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ოთახი უზრუნველყოფილია გათბობით.

ინდიკატორი 5.1.1.4 შესაბამისობაშია.

5. **დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

დაწესებულების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილია შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახური, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის და სამსახურის დებულების შესაბამისად. სამსახურის ფუნქციებია დაწესებულებაში წესრიგის დაცვა და დარღვევების პრევენცია; შენობისა და ინვენტარის დაცვა; ვიზიტორების შენობაში შესვლისა და გასვლის კონტროლი; დაცვის ტექნიკური საშუალებების - ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო სისტემების ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა; სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მუდმივად გამართულ მდგომარეობაში არსებობის მონიტორინგი; უსაფრთხოების მიზნით დაწესებულების შენობა-ნაგებობის გარე და შიდა განათების გამართულ მუშაობაზე კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება.

შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. შენობის საევაკუაციო გასასვლელში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“. შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო გზებსა და გასასვლელებში ეწყობა საევაკუაციო გზის და გასასვლელების მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები.

ვიზუალური დათვალიერებით **ინდიკატორი 5.1.1.5 შესაბამისობაშია.**

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების წესი, რომელიც ითვალისწინებს, თუ როგორ მოხდება სასწავლო პროცესის საჭირო მასალებით შეუფერხებელი უზრუნველყოფა. აღნიშნულის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური, რომელსაც საჭიროების თაობაზე წერილობით მიმართავს დაწესებულების თანამშრომელი, რის საფუძველზეც სამსახური იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი რესურსების გაცემის თაობაზე. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების წერილობით სიას ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან კოორდინაციით და წარადგენს სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 15 დღისა. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვა ხორციელდება შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, გამონაკლისია ის რესურსები, რომელთაც აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამოყენების ვადები. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შენახვა ხორციელდება დაწესებულების სასაწყობე სივრცეში. მათ გაცემას ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოებით. საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის დასრულების შემდეგ ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ანგარიშგება და შესაბამის ჟურნალში გატარება. წესი ასევე ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის განკარგვა-უტილიზაციას.

დოკუმენტის გაცნობის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებით **ინდიკატორი 5.1.1.6 შესაბამისობაშია.**

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების წესი, რომელიც ითვალისწინებს ფულადი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღრიცხვის, ანგარიშგების და შევსება-განვითარების მიზნით ინვენტარიზაციის ჩატარებას. ინვენტარიზაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი, ხოლო სავალდებულო ვადა და პროცედურა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ინვენტარიზაციის ჩასატარებლად დირექტორის ბრძანებით იქმნება დროებითი საინვენტარიზაციო კომისია, რომლის შემადგენლობას და სამუშაოს შესრულების ვადები განსაზღვრულია ბრძანებით.

დოკუმენტაციის შესწავლით და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინვენტარიზაცია ამ ეტაპზე არ აქვთ ჩატარებული და აღნიშნული მექანიზმის შესაბამისად გეგმავენ.

ინდიკატორი 5.1.1.7 შესაბამისობაშია.

8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**

დაწესებულებაში არის ოთხი სველი წერტილი: ადმინისტრაციისთვის, ქალებისთვის, კაცებისთვის და ადაპტირებული შშმ სტუდენტებისთვის, რომლებიც გამიჯნულია, მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია. სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენის საშუალებებით: ქაღალდის პირსახოცის დისპანსერით, თხევადი საპნით და ნარჩენებისათვის უკონტაქტო კალათით. სველი წერტილები ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

ვიზუალური დათვალიერებით **ინდიკატორი 5.1.1.8 შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**

დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ვიზუალური დათვალიერებით **ინდიკატორი 5.1.1.9 შესაბამისობაშია.**

10. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**

ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულების სათავსოები და სივრცეები ისეა განლაგებული, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას ხელი არ ეშლება.

ინდიკატორი 5.1.1.10 შესაბამისობაშია.

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი, სამუშაო დღეებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 10:00-სთ-დან 17:00 სთ-მდე. ბიბლიოთეკა ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსით არის აღჭურვილი და ხელმისაწვდომია მომხმარებლისათვის.

ინდიკატორი 5.1.1.11 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- იჯარის ხელშეკრულება;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

დაწესებულებამ წარმოადგინა აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N 14-ში შენობის ტექნიკური მდგრადობის ინსპექტირების შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო წესებსა და ნორმატივების მოთხოვნებს. ასევე წარმოადგინა სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს ინსპექტირების დასკვნა უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულებას აქვს ორი საევაკუაციო გზა-კიბე, სართული უზრუნველყოფილია განათებული მაჩვენებლებით „EXIT". თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია „112"-ის აბრები. ასევე მოწყობილია ავარიული განათება. გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. ფართი უზრუნველყოფილია საგანგაშო ხმის გამომცემი და ვიზუალური სისტემით. შენობა აღჭურვილია კვამლის ავტომატური აღმომჩენი დეტექტორებით. დირექტორის ბრძანებით დანიშნულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

დასკვნების შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე **ინდიკატორი 5.2.1. შესაბამისობაშია.**

2.დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს "პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების წესი". ბიბლიოთეკაში მოწყობილია პირველადი გადაუდებელი დახმარების კუთხე სადაც განთავსებულია სათანადო ავეჯი: სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირისთვის განკუთვნილი ღსავარძელი; დახმარების აღმომჩენი პირისთვის განკუთვნილი სკამი; სათავსო კარადა, რომელშიც ინახება პირველადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამედიცინო დახმარების სტანდარტული ნაკრები და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის რეგისტრაციის ჟურნალები. იწარმოება ორი ტიპის ჟურნალი: 1.პირველადი სამედიცინო დახმარების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც კეთდება ჩანაწერი თითოეული გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ და 2.სამედიცინო სახარჯი მასალისა და მედიკამენტების აღრიცხვის და შვსების ჟურნალი, სადაც კეთდება ჩანაწერები აღნიშნული მასალის და მედიკამენტების შემოტანის, შენახვის ვადებისა და ვადაგასული სახარჯი მასალისა და მედიკამენტების ჩამოწერის შესახებ. აგრეთვე რამდენიმე სხვა ლოკაციაზე დამატებით განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთის კომპლექტაცია. თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების კუთხის ლოკაციის ნიშნულები, რომელზეც აგრეთვე დატანილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე უფლებამოსილი პირების საკონტაქტო ნომრები.

პირველადი სამედიცინო დახმარების კუთხის მოწყობასა და გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახური.

შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ **ინდიკატორი 5.2.2. შესაბამისობაშია.**

3.დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს "საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა", რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს სხვადასხვა სახის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის. გეგმით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციის სახეები, რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ინსტრუქციები, სპეციფიკური პროცედრები და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციას, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. საგანგებო შტაბის უფროსი არის დაწესებულების დირექტორი. საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად დირექტორი გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევს სახანძრო-სამაშველო ჯგუფებსა და საშუალებებს. გეგმა ითვალისწინებს საფრთხეების და რისკების შეფასებას/აღწერას, გასატარებელი ღონისძიებების აღწერას საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით. გეგმის თანახმად, პრაქტიკული გავარჯიშება უნდა ჩატარდეს ყველა შესაძლო შემთხვევასთან დაკავშირებით პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის მინიმუმ 6 თვეში ერთხელ. ყველა ჩატარებული სწავლება უნდა იქნეს დოკუმენტირებული. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა საჯაროა და განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

დოკუმენტის შესწავლით და დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ **ინდიკატორი 5.2.3. შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახური. მისი ფუნქცია მოვალეობები გაწერილია შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურის დებულებაში. სამსახური ახორციელებს დაწესებულებაში წესრიგისა და შინაგანაწესის დაცვას, დარღვევის გამოვლენას და შესაბამისი რეაგირებას, შენობისა და ინვენტარის დაცვას, ვიზიტორების შენობაში შესვლისა გასვლის კონტროლს, დაცვის ტექნიკური საშუალებების - ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო სისტემების ექსპლუატაციაზე ზედამხედველობას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვას, სამუშაო საათებში ობიექტის მონიტორინგისა და კონტროლის უზრუნველყოფას, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ შენობის დაცულობის, სიგნალიზაციის სისტემის გამართული მუშაობის შემოწმებასა და კონტროლს.

ინდიკატორი 5.2.4. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული შენობის ტექნიკური მდგრადობის ინსპექტირების შესახებ დასკვნა;
- სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს უსაფრთხოების შესახებ ინსპექტირების დასკვნა;
- საგანგებო მდგომარეობის მართვის გეგმა;
- პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების წესი;
- შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურის დებულება;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან;
- ვიზუალური დათვალიერება.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**

დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა- განვითარებას. სამსახურის ფუნქციებია: ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და გატარება; ახალი სისტემური პროგრამული საშუალებების დანერგვა; სასწავლო პროცესის პროგრამული უზრუნველყოფა; ინტერნეტ-სერვისებით (ვებ-სერვისები, ელექტრონული ფოსტა) მომსახურების ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური აპარატული (სერვერული, ქსელური და ხმის/ვიდეოს გადაცემის აპარატურა) უზრუნველყოფა.

დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება , რომ **ინდიკატორი 5.2.1.1. შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი, რომელიც სავალდებულოა დაწესებულების სასწავლო პროცესში ჩართული ყველა პირისათვის, ვისაც გააჩნია წვდომა კომპიუტერულ, ქსელურ და საინფორმაციო რესურსებზე და ითვალისწინებს:ინფორმაციულ უსაფრთხოებას, მონაცემთა დაცვას, უსაფრთხოების ინციდენტებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, მომხმარებლის ანგარიშის წვდომის უფლებას, ელექტრონულ ფოსტას, კონფიდენციალურობის დაცვას, ვირუსებისა და საზიანო პროგრამებისაგან დაცვას, ელექტრონულ მონაცემთა მართვას და კომპიუტერული ინფრასტრუქტურის მონიტორინგს. IT რისკების მართვას უზრუნველყოფს დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.

დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ საჭიროების შესაბამისად აპირებს თანამშრომლებს და სტუდენტებს ჩაუტაროს ტრენინგი ინფორმაციული რისკებისა და მათი მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 5.2.1.2. შესაბამისობაშია.**

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება, რომელიც მოიცავს: ძირითად დებულებებს, ტერმინთა განმარტებას, საქმიანობის ფარგლებში დამუშავებული პერსონალური მონაცემების ჩამონათვალს, პერსონალურ მონაცემთა გამოყენების მიზნებს, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესს, სტუდენტების მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებას, ელექტრონული ფოსტისა და პირადი ტელეფონის ნომრის გამოყენებას, ვიდეო კონტროლოსა და აუდიო კონტროლის განხორციელებას, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, უსაფრთხოების ტექნიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულებაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი - ადმინისტრაციისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი, რომელიც ითავსებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს.

ინდიკატორი 5.2.1.3. შესაბამისობაშია.

4. **პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის და IT პროცესების სისტემის ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებას. ადმინისტრირებასა და გამოყენებაზე მონიტორინგს ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახური. საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ადმინისტრატორის -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის გარდა სხვა ყველა მომხმარებელს, დირექტორის ნებართვის გარეშე, ეკრძალება საინფორმაციო რესურსის მონიტორინგი, ასევე - სისტემური პარამეტრების ცვლილება.

ინდიკატორი 5.2.1.4. შესაბამისობაშია.

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს "მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის წესი", რომლის მე- 5 მუხლის თანახმად, გათვალისწინებულია კომპიუტერული და სხვა ტექნიკური რესურსების მოხმარების ზოგადი წესები. დაწესებულების შენობაში ხელმისაწვდომია კაბელიანი და უკაბელო ინტერნეტი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ხელმისაწვდომობის მიზნობრიობას. დაწესებულებამ წარმოადგინა ინტერნეტპროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება. ვიზუალური დაათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულების გარემო, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახი აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიით. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, სადაც ჩატვირთულია სასწავლო რესურსები.

ინდიკატორი 5.2.1.5. შესაბამისობაშია.

6. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი, რომელშიც გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებლის ანგარიშის შექმნას კომპიუტერული რესურსებისა და ელ.ფოსტის გამოყენების მიზნით. პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახურის მიერ მიწოდებულ ახალ თანამშრომელთა სიის თანახმად, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური ასეთი თანამშრომლისთვის ქმნის კომპიუტერულ და ელ-ფოსტის ანგარიშებს. ახალი სტუდენტისთვის მათი რეგისტრაციისთანავე იქმნება ელ-ფოსტისა და სასწავლო პროცესის მართვის ანგარიშები. გათვალისწინებულია ერთიანი ელექტრონული საფოსტო ჯგუფი სტუდენტებისთვის. დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა. ამ ამოცანის შესრულებამდე დაწესებულება მის პერსონალთან და სტუდენტებთან საინფორმაციო გაზიარებას აწარმოებს google-ის პლატფორმის საშუალებით.

ინდიკატორი 5.2.1.6. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ხელშეკრულება დომეინის შესყიდვის შესახებ;
- ხელშეკრულება ვებ ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება;
- პერსონალთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კოლეჯის დებულებასთან, კოლეჯის ადმინისტრაციისა და საქმისწარმოების სამსახურის დებულებასთან და სხვა სამართლებრივ აქტებთან. საქმისწარმოებას ახორციელებს ადმინისტრაციისა და საქმისწარმოების სამსახური, რომლის უფლებამოსილება და ფუნქციები გაწერილია ადმინისტრაციისა და საქმისწარმოების სამსახურის დებულებაში. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია დოკუმენტების შედგენის მოთხოვნები და გაფორმების სტანდარტები; ბეჭდის და შტამპის გამოყენება/დაცვა; ფაქსიმილეს გამოყენების წესი; დოკუმენტაციის კლასიფიცირება; შიდა დოკუმენტაციის წარმოების წესი; ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების წარმოების წესი; შემოსული და გასული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დოკუმენტაციის საქმისწარმოება; კურსდამთავრებულთა დიპლომის რეგისტრაცია; დოკუმენტაციის შენახვის და დაარქივების წესი. საქმისწარმოების წესით დადგენილი რეგულაციები ვრცელდება დაწესებულებაში შექმნილ და შემოსულ ყველა ტიპის დოკუმენტაციაზე, მათ შორის - ელექტრონულზე.

ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისობაშია.

2.პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება მატერიალური ფორმით. პერსონალთან და სტუდენტებთან ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს google-ის პლატფორმას. დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის მართვის (როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო კომპონენტების) ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავება და დანერგვა.

ვინაიდან ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდებოდა მხოლოდ მატერიალური ფორმით და სამომავლოდ ჰქონდათ გათვალისწინებული ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავება და დანერგვა **ინდიკატორი 5.2.2.2. შეფასდა არ შეესაბამება. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - მართვაში გამოიყენოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა.**

დაწესებულებამ გაითვალისწინა ხარვეზი, კერძოდ, აპირებს, რომ i-ფლოუში ჩაერთოს და დაიწყოს ელექტრონული საქმისწარმოება მას შემდეგ რაც პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ივეტში აისახება მათ ორგანიზაციაზე ინფორმაცია ავტორიზაციის დასრულების შემდგომ. აღნიშნული გათვალისწინებულია შესაბამისობის გეგმაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.2. შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

დაწესებულება ავტორიზაციის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

ინდიკატორი 5.2.2.3. შესაბამისობაშია.

4.პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებას საქმისწარმოების წესში განსაზღვრული აქვს კორესპონდენციებზე რეაგირების პროცედურა და გონივრული ვადები. ავტორიზაციის გავლის შემდეგ დაწესებულება ითანამშრომლებს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან და დროულად მიაწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირს.

ინდიკატორი 5.2.2.4. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

დაწესებულების ვებ-გვერდია safetyacademy.ge სადაც განთავსებულია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულები, ადმინისტრაციული პერსონალი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამართლებრივი აქტები, პროგრამები, სტუდენტებისთვის: შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, პრაქტიკის დებულება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი. ვებ-გვერდზე განთავსებულია - ხშირად დასმული კითხვები, სიახლეები, შეფასებები, საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია პარტნორების შესახებ, ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი. დაწესებულების ვებ-გვერდი და ასევე სოციალური ქსელის გვერდი ასრულებენ როგორც საკომუნიკაციო, ისე საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებენ ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების შესაძლებლობას. რეგულარულად მიმდინარეობს ინფორმაციის განახლება.

ინდიკატორი 5.2.3.1 შესაბამისობაშია.

2.დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

დაწესებულება არ ახორციელებს საერთაშორისო/ უცხოენოვან პროგრამებს. შესაბამისად დაწესებულების ვებ-გვერდი ქართულენოვანია.

ინდიკატორი 5.2.3.2 შესაბამისობაშია.

3.პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება-ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, რომელსაც განსათავსებელი ინფორმაცია მიეწოდება კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებისგან მათი კომპეტენციის ფარგლებში. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსსა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია.

ინდიკატორი 5.2.3.3 შესაბამისობაშია.

4.საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელშიც გაწერილია ინფორმაცია დაწესებულების ისტორიის, მისია/ხედვა/ღირებულებების, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, პრაქტიკის ობიექტების, პარტნიორი ორგანიზაციების, დაწესებულების მონაწილეობით ან ორგანიზებით განხორციელებული პროექტების შესახებ. კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი 5.2.3.4. შესაბამისობაშია.

5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომლის მე-13 თავი ითვალისწინებს საგანმანათლებლო კატალოგის წარმოებას, რომელიც განახლდება წლიურად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

ინდიკატორი 5.2.3.5. შესაბამისობაშია

6.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი ითვალისწინებს დაწესებულებაში საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფას, ამ მხრივ ინიციატივების წახალისებას და განავითარებს უკუკავშირების პრაქტიკას. სისტემატურად განახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით მიღებული უკუკავშირების - მოსაზრებების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შენიშვნების, შეკითხვების, ინიციატივების, სურვილების, მოლოდინების შეკრება-გაცნობიერებას და მათ გამოყენებას საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. ხშირად დასმული შეკითხვების პასუხები აკუმულირდება ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში და დაექვემდებარება განახლებას. საზოგადოებრივი უკუკავშირის ანალიზს წარმათავს საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური საკითხთან დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომლების ჩართულობით.

ექსპერტები გავესაუბრეთ დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახურის წარმომადგენელს, რომელმაც აგვიხსნა, რომ აპირებს ასევე სხვდასხვა კითხვარების საშუალებით ამ მიმართულებით კვლევების განხორციელებას.

ინდიკატორი 5.2.3.6 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების ვებ-გვერდი - safetyacademy.ge ;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- დომენის ხელშეკრულება;
- გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს: სამუშაოს/მომსახურების დასახელებას, საცალო ღირებულებას, რაოდენობას და ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას. ბიუჯეტში გათვალისწინებულია: აღჭურვილობა, სახელფასო ფონდი, საოპერაციო ხარჯები, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ხარჯები (მითითებულია მიზნები N 1/1.2./ 3.1.; N 2, 3, 4, 5,6) და ხარჯების ჯამი.
ინდიკატორი 5.3.1.1 შესაბამისობაშია.

2.საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

დაწესებულების საპროგნოზო ბიუჯეტში გაწერილია საოპერაციო ხარჯები, კერძოდ: ოფისის იჯარა, კომუნალური ხარჯი, საკომუნიკაციო ხარჯი და საკანცელარიო ხარჯი, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის ყოველთვიურ თანხებს.
ინდიკატორი 5.3.1.2 შესაბამისობაშია.

3.დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

დაწესებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში დაადგენს ფინანსურ ანგარიშს და ფინანსური მდგრადობის შეფასების მიზნით ატვირთავს პორტალზე. დაწესებულების ფინანსური სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება, რომ მონაწილეობას იღებდა დაწესებულების სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების შემუშავებაში და ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილში თანამშრომლობდა დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებთან. დაწესებულება შეაფასებს რა საკუთარ ფინანსურ მდგრადობას შესაბამისად აპირებს დაგეგმოს მომავალი წლის ბიუჯეტი.

ინდიკატორი 5.3.1.3 შესაბამისობაშია.

4.დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულება წლის ბოლოს გეგმავს ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ყოველი ახალი წლის სამოქმედო გეგმაში ბიუჯეტთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნება წინა წლის აუთვისებელი თანხები.

ინდიკატორი 5.3.1.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვით ტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის N#2406/111 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 14ა, საქართველო, 0186
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	144 პროფესიული სტუდენტი, ქ.თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 14ა, მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	----
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	----
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	----
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

შპს " უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს" შემუშავებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომლის თანახმად არის შემუშავებული პროგრამა. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, დაინტერესებული მხარეების განსაზღვრის, პროგრამის ხელმძღვანელისადმი, ძირითადი დოკუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები და პროგრამის შემუშავებისთვის განსახორციელებელი პროცედურების წესები და პირობები.

შპს "უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის" მისიაში გაცხადებულია პროფესიული განათლების ძირითადი მიზანი - შრომის ბაზარზე მოთხოვნადი შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური პროფესიული კადრების შექმნა და საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოების კულტურის განვითარება, რითაც განსაზღვრულია კოლეჯის როლი და ადგილი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში. მათ მიერ დეკლარირებული მისიით კოლეჯი აკეთებს განაცხადს რათა პროფესიული საზოგადოების განვითარებაში წვლილი შეიტანოს და ხელი შეუწყოს საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებას, გაძლიერებასა და განმტკიცებას.

ხოლო კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში ცალსახად იკვეთება მათი ძირითადი საქმიანობის, შრომის უსაფრთხოების განათლების საკითხი, ისინი მიმართულია როგორც ზრდასრულთა განათლების მოკლევადიანი ტრენინგ კურსების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო ავტორიზებული პროგრამების განხორციელებისკენ.

პროგრამა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და მოთხოვნადია, ვინაიდან საქართველოში საერთაშორისო შეთანხმებებით შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვისა და ეფექტური შრომის ინსპექციის ამოქმედება სავალდებულოა და ქვეყანაში მოქმედი ყველა საჯარო თუ კერძო დაწესებულება კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებაც მოთხოვნილია ყველა საწარმოსა თუ დაწესებულების ფუნქციონირებისას. დასაბუთებისას, კოლეჯის მიერ სწორად არის განსაზღვრული აღნიშნულ დარგში კადრების მოთხოვნაზე რეალური ვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა ნათლად და არგუმენტირებულადაა დასაბუთებული, შეესაბამება აკადემიის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, შესაბამისად, მოცემული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რითიც ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების" და შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი"-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

აკადემიას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", დოკუმენტის თანახმად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს: სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას (A, B, C სასწავლო გარემოს მიხედვით), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის საკმარისობას (პროფესიული განათლების მასწავლებლების მიხედვით) და პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობას (პრაქტიკის ობიექტების მიხედვით).

აკადემიას აღნიშნული მიდგომით წარმოადგენილი ჰქონდა „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 172 პროფესიული სტუდენტი, რომლის დასაბუთება არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობით ვერ შეძლო და გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია პროგრამაზე პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად მიიღოს 144 პროფესიული სტუდენტი 3-3 ჯგუფად თითო ჯგუფში 24-24 პროფესიული სტუდენტით, ინფორმაციულ წიგნიერებაზე ჯგუფის გაყოფის პირობით. **აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

„შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას გამოყოფილი აქვს სააუდიტორიო ფართი, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით. თუმცა, თითოეული სალექციო ფართი მოწყობილია 24-24 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო 1 B სასწავლო გარემო 12-12 პროფესიული სტუდენტისთვის, რომელშიც განხორციელდება მოდულის ,,ინფორმაციული წიგნიერების“ სწავლება ჯგუფების გაყოფის პირობით, ჯამში 2 წლის მანძილზე 144 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის ნაცვლად 172 პროფესიული სტუდენტისა. სივრცეები აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი მინიმალური მატერიალური რესურსით. აკადემიას საწარმოო პრაქტიკის მოდულის განსახორციელებლად ხელშეკრულება აქვს გაფორმებული პრაქტიკის 4 ობიექტთან.

დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები რელევანტურად აქვს განსაზღვრული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. პროფესიულ პროგრამაზე ზღვრული ოდენობის შემცირებასაც დაეთანხმნენ და ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დაადგინეს, რომ 144 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შპს “უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის” დირექტორის ბრძანების 2402/101-29.02.2024 მიხედვით, დაწესებულების წესდების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საფუძველზე და კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შდეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების საფუძველზე (სარეგისტრაციო 07311-პ) და აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, დამტკიცების თარიღი, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება, პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. პროგრამა მოიცავს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 120 კრედიტის მოცულობით ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 150 კრედიტს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც დადასტურდა დოკუმენტების გადამოწმებით და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუების საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის მისია https://safetyacademia.ge/ ;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2031 წ.წ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები";
- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის ბრძანებით 2402/101-29.02.2024 პროგრამის დამტკიცების შსახებ;
- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის N#2406/111 (19.06.2024) ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია";
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები" მისაღებ სტუდენტთა ქვოტის დასაბუთება;
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის "შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი.
ვიზუალური დათვალიერებისას, <u>დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით შესაძლებელია მაქსიმუმ 144 პროფესიული სტუდენტის სწავლება 2 მიღებაზე, თითო მიღებაზე მაქსიმ 3-3 ჯგუფი, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობით 24-24 და არა, დაწესებულების მიერ დადგენილი 172 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს განხილული იქნა აღნიშნული საკითხი და დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტთა მოსაზრებას.</u>
კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად 3 A C და 1 B სასწავლო გარემო, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით. კერძოდ, 3 A C სასწავლო გარემო (თითოეული 24-24 პროფესიული სტუდენტისთვის), 1 B სასწავლო გარემო (12-12 პროფესიული სტუდენტისთვის ჯგუფების გაყოფის პირობით), რომელიც გამოიყენება მოდულის ,,ინფორმაციული წიგნიერება" განხორციელებისთვის.
კოლეჯის საუდიტორიო ფონდში გამიჯნულია გრძელვადიანი პროგრამებისა და მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართები. აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის გზით დასამატებელი პროგრამის კონტექსტში 144 პროფესიულ სტუდენტამდე შემცირებული ქვოტის ფარგლებში საუდიტორიო ფონდის გამტარუნარიანობა ეჭვგარეშეა. დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეუფერხებლად და სრულყოფილად მიღწევისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობა კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ რესურსზე წვდომა. სასწავლო გარემოები აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სადემონსტრაციო ციფრული საშუალებებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისფარგლებში პრაქტიკის ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ 4 საწარმოსთან ავტორიზაციის ვადით:

1. შპს დომუს კონსტრაქშენი (საიდენტიფიკაციო კოდი: 404908864) ობიექტების (მის:პოლიტკოვსკაიას #12; გაზაფხულის ქ. #8 და მისამართი: ქ. თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩაNo 96), 26 პროფესიული სტუდენტი;
2. შპს ა-ლ.ფ.ა ჯგუფი (მისამართი: რუსთავი გაჩიანის გზა) საიდენტიფიკაციო კოდი: 404634909, 26 პროფესიული სტუდენტი;
3. შ.პ.ს. ,,დევარტ ჯგუფი'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 405368917) ობიექტების (მის:ქ.თბილისი, სამურზაყანოს 39), 26 პროფესიული სტუდენტი;
4. შპს ს. ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკა (ს/კ 404866123) ობიექტის (მის. ი.ჭავჭავაძის 33), 26 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 144 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" სულ განახორციელებს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 8 პროფესიული მასწავლებელი, 2 მხოლოდ ზოგად მოდულებს და 1 მასწავლებელი ზოგადსაც და დარგობრივ მოდულებსაც. მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

თუმცა, ვინაიდან დაწესებულება გეგმავს ერთდროულად სწავლება განახორციელოს 3-3 ჯგუფად თითო ნაკადში, სასურველია გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, განსაკუთრებით იმ მოდულებში სადაც მხოლოდ თითო განმახორციელებელი ჰყავს შერჩეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, კერძოდ, დაიწყო პროცესი, რომ გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, რაც დასრულდება 1 თვის პერიოდში. აღნიშნული კი დაწვრილებით არის გაწერილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს როგორც ტრენერად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე პრაქტიკული გამოცდილებაც. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულება პირველად გეგმავს გრძელვადიანი საკვალიფიკაციო პროფესიული პროგრამის განხორციელებას და განმახორციელებელ პირთა ნაწილს ესაჭიროება პროფესიულ პროგრამებზე სწავლა- სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ ტრენინგებით უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაგეგმილია და უახლოეს პერიოდში განახორციელებენ.
აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დოკუმენტურად იქნა წარმოდგენილი (შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი”-ის კოლეჯის დირექტორის N 121 ბრძანება 19.06.2024 შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი”-ის კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო კურსის დამტკიცების თაობაზე“.

ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულების მიერ პროგრამის განმახორციელებელი პირების უმრავლესობას არ უდასტურდებათ პროფესიული მოდულების ფარგლებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, საჭიროა დაწესებულებამ უზრუნველყოს თითოეული განმახორციელებლის პროფესიული მოდულების ფარგლებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების კომპეტენციისა და სპეციფიკის ათვისების მიზნით ტრენინგების მოწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა ,, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია“ არაა დაკმაყოფილებული.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ხარვეზი, კერძოდ, შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის“ კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის N 121 ბრძანების შესაბამისად, კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების პროფესიული კომპეტენციის ამაღლების სწავლება ჩატარდა 2024 წლის 22, 23 და 24 ივნისს. დადოკუმენტირდა ტრენინგზე დასწრების ოქმი. აღნიშნულ ტრენინგზე დაიფარა შემდეგი საკითხები:

კოლეჯის ფუნქციონირების საკანონმდებლო მოთხოვნები;
კოლეჯის ფუნქციონირების სახელმძღვანელო, მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
პროფესიული მასწავლებლის ვალდებულებები;
მოდულური სწავლება;
თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდები;
კალენდარული გეგმა;
სტუდენტების შეფასება (შუალედური და დასკვნითი).

დაწესებულებას ტრენინგის გეგმის მიხედვით კოლეჯის მასწავლებლების პროფესიულ მასწავლებლად დახელოვნების მიზნით დაგგმილი აქვს ტრენინგების მორიგი ციკლი სასწავლო პროცესის დაწყებამდე აგვისტორს 8-9 რიცხვებში.
ასევე კოლეჯის დირექტორის N121-1 ბრძანებით დადგინდა შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი”-ის კოლეჯში პროფესიული მასწავლებლების პოზიციაზე აყვანილი ნებისმიერი მასწავლებლისთვის სავალდებულოდ განისაზღვრა 15 საათიანი ტრენინგის ჩატარების ვადებულება და შიდა სერტიფიცირება პროფესიული მასწავლებლის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე. რაც განხორციელდება ნებისმიერი ახლად-აყვანილი მასწავლებლის შემთხვევაში პროფესიულ მასწავლებლად ჩამოყალიბებისთვის.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები განსაზღვრულია ,,კოლეჯის დებულების“ და “საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის” მიხედვით და მას ნიშნავს კოლეჯის დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს პროგრამის სამუშაო ჯგუფს და აქვს პროგრამის დარგობრივი ხედვა, დარგობრივი და მენეჯერული კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავებას, განხორციელებას და განვითარებას. პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პასუხისმგებელია პროგრამის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაზე. იგი პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და როგორც მისი პირადი საქმე ადასტურებს, აქვს დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და კვალიფიკაცია, მისი კომპეტენცია და შესაბამისობა დადასტურდა აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით. მას გააჩნია შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის განხორციელებისა და ხელმძღვანელობის გამოცდილებაც, მასზე გაცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვა - ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების მეთოდებისა და მიმართულებების მოდულის სწავლების შესახებ, გავლილი აქვს ტრენინგი „შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. საგანმანათლებლო პროგრამებში საკანონმდებლო-ნორმატიული კომპონენტების სწავლების მიზნით კოლეჯს აქვს ავტორიზებული წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს matsne.gove.ge-ის პლატფორმაზე. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალურად დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, საწიროების შემთხვევაში სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან ლეპტოპებით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველოდ გამოყოფილი ადგილებით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიის ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მე-11 მუხლი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს მათი საჭიროებების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მზაობა მიიღონ მსგავსი საჭიროების სტუდენტები, ადაპტირებული აქვთ გარემო და ამჟამად ამ გარემოთი მათი შშმ პირი მასწავლებელი სარგებლობს.

აკადემიას ამავე რეგულაციის იგივე მუხლში გაწერილი აქვს საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მდგომარეობის გათვალისწინებით და მისივე ჩართულობით შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროგრამას/მოდულს და იქნება მისი მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

აკადემიას „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 10 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. შემოსავლები დათვლილია 24 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე და შეადგენს 156 000 ლარს. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია შენობის იჯარის, კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და მისი განვითარების ხარჯები.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ შედგება ფაქტობრივი ბიუჯეტი და შედარდება საპროგნოზო ბიუჯეტს, შედეგები გაანალიზდება და შესაძლოა მოხდეს საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის ბრძანებით 2402/101-29.02.2024 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები";
- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის N#2406/111 (19.06.2024) ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია";
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვის სქემა;
- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დებულება;
- აკადემიის პერსონალის, მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულების მიერ შემუშავებული "საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია" განსაზღვრავს პროგრამის შეფასების მექანიზმს. პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება სასწავლო წლის დასასრულს, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებები განხორციელდება იმავე სასწავლო წლის შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამას შესრულების ინდიკატორების საფუძველზე აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე: 1.სტუდენტთა მოსწრება და სემესტრული გამოკითხვის შედეგები; 2.კოლეჯის სერვისებით სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის შედგები; 3.დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; 4.კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; 5.პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის გამოკითხვის შედეგები; 6.პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია. პროგრამის შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიზანშეწონილობის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს წერილობით წარუდგენს პროგრამის სრულყოფის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებს. შეფასების ანგარიში დოკუმენტირდება და არქივდება კოლეჯში დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და მათი ინტერვიუთი დასტურდება მზაობა განახორციელონ და განავიტარონ პროგრამა, მათ შორის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით და დამსაქმებლების ჩართულობითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ შემუშავებული "საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია" ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების პროცედურას. აკადემიაში ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე" მოდელზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. ასევე ხარისხის მართვის სამსახური დებულების თანახმად განახორციელებს კვლევის შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტეთა შეფასებით აკადემიაში განხორციელდება პროგრამის შედეგების შეფასება/ცვლილებები დაწესებულების მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის N#2406/111 (19.06.2024) ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის”-ის დირექტორის N 112 (19.06.2024) ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- კვლევის კითხვარები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

„შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია: მოდულზე დაშვების წინაპირობა, გარემო, კრედიტი, სარეგისტრაციო N, მოდულის დასახელება, სასწავლო კვირა, საკონტაქტო, დამოუკიდებელი მეცადინეობა, შეფასება, განმეორებითი შეფასების კვირა, პრაქტიკის ობიექტი. ასევე გათვალისწინებულია სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ აკადემიაში აღნიშნული პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმი შესაბამისად.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ მათ აქვთ მზაობა საწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, თუ ფორს-მაჟორული სიტუაცია დადგება ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით ვერ მოხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, ისისნი მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოახდენენ რეაგირებს მსგავს გარემოებებზე, როგორც ჯგუფებისთვის, ისე ინდივიდუალურ გამოწვევებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის გადაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

„შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად აკადემიის A C და B სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიულ მასწავლებელთა უმრავლესობა დარგის მოქმედი სპეციალისტები არიან და ფლობენ დარგში შესაბამის ტექნოლოგიებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის და მათთან გასაუბრების შედეგად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმებს და პროცედურებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება შეუძლებელია სტანდარტული სასწავლო გეგმით და გეგმის პროექტს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, რომელიც უფლებამოსილია ამ პროცესში ჩართოს პროფესიული სტუდენტი (სტუდენტთა ჯგუფი), პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებლები და სხვა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროგრამის დასრულება გონივრულ ვადებში, პროგრამის კომპონენტების განხორციელების წინაპირობების, ან პროგრამით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული უნდა იქნეს პროფესიულ სტუდენტთან (სტუდენტთა ჯგუფთან), რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გეგმის პროექტი და სტუდენტთან შეთანხმების მტკიცებულება დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიის დირექტორს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც განსაზღვრავს იმ სტუდენტს (სტუდენტთა ჯგუფს), რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული აქტი.

ავტორიზაციის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გავესაუბრეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურეს ზემოაღნიშნული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სტუდენტები როტაციული წესით იქნებიან გადანაწილებული 4 საწარმოში და დაწესებულებაში, რომელთა სპეციფიკა სრულად ფარავს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე, ითვალისწიინებს პროფესიულ სტუდენტთა დაშვებას სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შედეგების მიღწევისთვის ყველა საჭირო ინვენტართან და აღჭურვილობასთან. ეს საწარმოებია: 1. შპს დომუს კონსტრაქშენი; 2. შპს ა-ლ.ფ.ა ჯგუფი; 3. შ.პ.ს. ,,დევარტ ჯგუფი''; 4. შპს ს. ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში უზრუნველყოფილია, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდეს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ხორციელდება საწარმოებში, მათ მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორის მეთვალყურეობის ქვეშ. ამასთან, თავად სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ხდება უსაფრთხოების პირობების დაცვა და წესების შესწავლა.

შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა;
- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 19.06.2024ის N#2406/111 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ , რომელიც ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის პროცედურას, სტრუქტურას, შემუშავების პროცედურას, ვალიდაციას, შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას, შეფასების ჩატარების სტანდარტულ პროცედურას, დისტანციურ რეჟიმში შეფასების ჩატარებას, დაკვირვების გარეშე პრაქტიკული დავალების შესრულების სტანდარტულ პროცედურას, სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების (განმეორებითი შეფასება) პროცედურას, შეფასების პროცესის აკომოდაციას ან სტანდარტული პროცედურის ცვლილებას.

დაწესებულებაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახური გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესს და განრიგს. შეფასების ინსტრუმენტებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებლები და წინასწარ დადგენილ ვადაში წარუდგენს სასწავლო პროცესის სამსახურს, რომელიც შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესს ხელმძღვანელობს და ახდენს ამ პროცესში სხვა მასწავლებლების ჩართვას.

ავტორიზაციის ექსპერტები გავეცანით დოკუმენტაციას და გავესაუბრეთ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა პროცესების წარმართვის მზაობა. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 19.06.2024ის N#2406/111 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლი ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურას. აღნიშნული პროცედურის მიხედვით ვერიფიკაცია განხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით, პროგრამის შემოწმების ფარგლებში, სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. წესის მიხედვით ვერიფიკაციის ჯგუფში სავალდებულოდ უნდა შედიოდეს იმ დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება. ვერიფიკაცია შესაძლებელია განახორციელოს მოწვეულმა პირმა/პირებმაც. დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა ან ვალიდაციის პროცესში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ვერიფიკაციის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 19.06.2024ის N#2406/111 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ , რომლის მე-12 მუხლის ,,მტკიცებულებების მოპოვების, შენახვის და განკარგვის წესი“ მუხლი 10 არეგულირებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სატანადო აღრიცხვას და შენახვას. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი/შემფასებელი. შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულება, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნას როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა/განადგურება ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემიაში „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“ რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამის განვითარების კუთხითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 19.06.2024ის N#2406/111 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის”-ის დირექტორის N 112 (19.06.2024) ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
31/07/2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---